არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„საქართველოს სამართლის ინსტიტუტის“
წესდება

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სახელწოდება

1.1. ორგანიზაციის სრული სახელწოდებაა:

1.1.1. ქართულად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს სამართლის ინსტიტუტი“;

1.1.2. ინგლისურად: non-profit organization “Georgian Law Institute“.

1.2. ორგანიზაციის შემოკლებული სახელწოდებაა:

1.2.1. ქართულად: ააიპ „საქართველოს სამართლის ინსტიტუტი“;

1.2.2. ინგლისურად: NPO “GLI”.

მუხლი 2. სამართლებრივი სტატუსი

2.1. საქართველოს სამართლის ინსტიტუტი (შემდგომში - „ინსტიტუტი“) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

2.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 3. ინსტიტუტის მისამართი და ელექტრონული ფოსტა

3.1. ინსტიტუტის იურიდიული მისამართია: ტიციან ტაბიძის ქ. #52, სართული 1 (ს/კ01.14.11.055.006.01.500), თბილისი 0162, საქართველო.

3.2. ინსტიტუტის ელექტრონული ფოსტაა - georgianlawinstitute@gmail.com

თავი II. ინსტიტუტის მიზნები და საქმიანობა

მუხლი 4. ინსტიტუტის მიზნები

4.1. ინსტიტუტის მიზნებია:

4.1.1. კვლევითი საქმიანობის განვითარება;

4.1.2. კანონმდებლობის და სასამართლოს პრაქტიკის განვითარების მიზნით საკანონმდებლო პოლიტიკის და მართლმსაჯულების სისტემის პოლიტკის შესახებ დისკუსიებისა და დებატების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა;

4.1.3. სამართლებრივი დისკუსიებისა და ცოდნის გაზიარებისთვის ეფექტური პლატფორმის შექმნა და ფართო იურიდული საზოგადოების ჩართვა პროცესში, მათ შორის მოსამართლეების, იურიდული ფირმების, აკადემიური აკადემიური დაწესებულებების, კერძო და კორპორატიული პრაქტიკის წარმომადგენლების;

4.1.4. საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების გამორჩეული აკადემიური თანამშრომლების და მკვლევარების კონსოლიდაცია და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელება;

4.1.5. სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე გამორჩეული სამართლის მკვლევარების და პრაქტიკოსების გაერთიანება, მათი საქმიანობის კოორდინაციისა და საზოგადოებისათვის მაქსიმალურად დადებით შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის უზუნველსაყოფად;

4.1.6. სოციალური მედიისა და კომუნიკაციის სხვა თანამედროვე საშუალებების გამოყენება, კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის აქტუალური პრობლემების და გამოწვევების, ასევე მათი გაუმჯობესების გზების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნებისათვის;

4.1.7. სტუდენტების პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა არაფორმალური განათლების პროგრამების ხარისხის განვითარების გზით;

4.1.8. სამართლის კვლევითი რესურსების მობილიზება და კონსოლიდაცია;

4.1.9. კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით საუკეთესო პრაქტიკის კვლევა და ანალიზი.

მუხლი 5. ინსტიტუტის საქმიანობა

5.1. ინსტიტუტი თავისი მიზნების განსახორციელებლად ეწევა შემდეგ საქმიანობას:

5.1.1. სამიზნე ჯგუფების ტრეინინგი;

5.1.2. კონფერენციების, საჯარო ლექციების, დისკუსიების, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით სხვა სახის ღონისძიების ორგანიზება;

5.1.3. პერიოდული თუ ერთჯერადი ონლაინ თუ ბეჭდვითი გამოცემების მომზადება’

5.1.4. პროექტების და პროგრამების მართვის მომსახურების შეთავაზება დაინტერესებული პირებისთვის, მათ შორის, დონორი ორგანიზაციებისათვის.

5.2. ინსტიტუტი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ინსტიტუტის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ინსტიტუტის დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

5.3. ინსტიტუტის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება დაუშვებელია. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გასხვისება ემსახურება ინსტიტუტის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო საქმიანობას.

5.4. ინსტიტუტი შეიძლება ეწეოდეს სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

თავი III. ინსტიტუტის მართვა

მუხლი 6. ინსტიტუტის სტრუქტურა

6.1. ინსტიტუტი შედგება შემდეგი მართვის ორგანოებისგან:

6.1.1. გამგეობა;

6.1.2. აღმასრულებელი დირექტორი;

გამგეობა

მუხლი 7. გამგეობა და მისი არჩევის წესი

7.1. ინსტიტუტის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს გამგეობა, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრატეგიას და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელი დირექტორის და ვიცე-დირექტორის მუშაობას;

7.2. გამგეობის პირველ შემადგენლობას წარმოადგენენ:

N	სახელი და გვარი	დაბადების თარიღი	პირადი ნომერი	რეგისტრაციის ადგილი	საწყისი ვადა
1	დავით კაპანაძე	29.04.1982	# 54001004950	ბიძინა კვერნაძის 13, ბინა 10, თბილისი 0172, საქართველო	10/2019-10/2022
2	ეკატერინე ლომთათიძე	31.07.1983	# 01003011919	ა. პოლიტკოვსკაიას 9ა, ბინა 45, თბილისი 0186, საქართველო	10/2019-10/2021
3	გიორგი ჯუღელი	7.09.1976	# 18001000850	ნუცუბიძის პლატო, მე-5 მ/რ, კ. 6, ბ. 31, თბილისი 0183, საქართველო	10/2019-10/2022

7.3. გამგეობის ყოველი მომდევნო შემადგენლობის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით.

7.4. გამგეობის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელსაც მიღებული აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, თუ მას რეკომენდაციას გაუწევს გამგეობის 2 წევრი მაინც.

7.5. გამგეობის წევრი ვერ გახდება ან/და გამგეობის წევრობის უფლებამოსილება შეუწყდება, თუ:

7.5.1. პირი შევა პოლიტიკურ პარტიაში;

7.5.2. დაინიშნება პოლიტიკურ თანამდებობაზე აღმასრულებელ ხელისუფლებაში;

7.5.3. დაიკავებს თანამდებობას ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში.

7.6. გამგეობის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება მას შემდეგ, რაც მის ადგილას აირჩევა ახალი წევრი.

7.7. გამგეობის წევრი არ სარგებლობს ხმის უფლებით და არ მონაწილეობს იმ კენჭისყრაში, რომელიც ეხება:

7.7.1. პირის გამგეობაში ახალი ვადით არჩევას;

7.7.2. პირის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტას;

7.7.3. პირისათვის ინტერესთა კონფლიქტის შემცველ საკითხს.

7.8. გამგეობის წევრობის ერთი კანდიდატის შემთხვევაში, იგი არჩეულად ჩაითვლება, თუ მხარს დაუჭერს გამგეობის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (2/3).

7.9. გამგეობის წევრობის რამდენიმე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ გამგეობის სრული შემადგენლობის უმრავლესობისა (2/3-ისა).

7.10. გამგეობის წევრი არ შეიძლება იყოს ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი და ვიცე-დირექტორი.

7.11. გამგეობა შედგება 3 წევრისგან.

7.12. გამგეობა თავისი შემადგენლობიდან ორი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს გამგეობის სრული შემადგენლობის უმრავლესობით (2/3-ით), რომელიც არ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ ორჯერ. გამგეობის თავმჯდომარე შეიძლება არჩეულ იქნას ხელმეორედ მისი თავჯდომარეობის ვადის ამოწურვიდან ორი წლის შემდეგ.

7.13. გამგეობის წევრი ვალდებულია:

7.13.1. დაესწროს გამგეობის სხდომებს, ხოლო დაუსწრებლობის შემთხვევაში წერილობით გაეცნოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს;

7.13.2. მონაწილეობა მიიღოს ორგანიზაციის მისიის, სტრატეგიის და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბებაში;

7.13.3. დაიცვას წესდების დებულებები.

მუხლი 8. გამგეობის წევრობის ვადა

8.1. გამგეობის წევრების 2/3 აირჩევა 3 წლის ვადით, ხოლო 1/3 - 2 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება არჩეულ იქნას გამგეობის წევრად ზედიზედ ორზე მეტი უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 9. გამგეობის ფუნქციები და გადაწყვეტილების მიღების წესი

9.1. გამგეობა უფლებამოსილებას ახორციელებს გამგეობის კრების მეშვეობით.

9.2. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 2/3.

9.3. გამგეობა გადაწყვეტილებას იღებს გამგეობის წევრთა ხმათა უმრავლესობით, თუ ამ წესდებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

9.4. გამგეობის სხდომები იმართება სამ თვეში ერთხელ უშუალოდ ან ინტერნეტ-კონფერენციის სახით. გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის ან/და გამგეობის მინიმუმ 1 წევრის მოთხოვნით. ასევე, გამგეობის რიგგარეშე სხდომა მოიწვევა, გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში ახალი წევრის ასარჩევად.

9.5. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს შემდეგ საკითხებზე:

9.5.1. განსაზღვროს ინსტიტუტის მისია, სტრატეგიული გეგმა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;

9.5.2. ფარული ან ღია კენჭისყრით გამგეობის წევრთაგან აირჩიოს გამგეობის თავმჯდომარე 2 წლის ვადით ხმათა უმრავლესობით, რომელიც უფლებამოსილია:

9.5.2.1. უხელმძღვანელოს გამგეობის სხდომებს და საქმიანობას;

9.5.2.2. ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ მისი მმართველი ორგანოებისგან;

9.5.2.3. განსაზღვროს ინსტიტუტის საქმიანობის მიმართულებები;

9.5.2.4. გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგინოს ინსტიტუტის ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ წინადადება ან/და გეგმა;

9.5.2.5. ზედამხედველობა გაუწიოს აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობას, მის მიერ ორგანიზაციის შინაგანაწესის და თანამშრომელთა სახელმძღვანელოს/ეთიკის წესების დაცვას.

9.5.2.6. გამგეობის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება ვადამდე მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილებების გადამეტების ან ეთიკის კოდექსის შეუსაბამო საქციელისთვის, ხმათა უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში გამგეობა არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში აირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით;

9.5.3. განსაზღვროს გამგეობის თავმჯდომარის ხელფასის ოდენობა;

9.5.4. ფარული ან ღია კენჭისყრით აირჩიოს გამგეობის ახალი წევრები გამგეობის სრული შემადგენლობის 2/3-ით;

9.5.5. აირჩიოს აუდიტორული კომპანია, რომელიც წელიწადში ერთხელ შეამოწმებს ინსტიტუტის ფინანსურ მდგომარეობას;

9.5.6. დაამტკიცოს ან გააუქმოს წესდება ან ცვლილებები და დამატებები შეიტანოს მასში გამგეობის წევრთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით;

9.5.7. ფარული ან ღია კენჭისყრით წევრების ხმათა 2/3-ის უმრავლესობით აირჩიოს ან თანამდებობიდან გადააყენოს ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი ან/და ვიცე-დირექტორი.

9.5.8. დაამტკიცოს აღმასრულებელი დირექტორის, ვიცე-დირექტორი და ფინანსური მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;

9.5.9. აღმასრულებელი დირექტორისგან მოისმინოს და დაამტკიცოს ინსტიტუტის წლიური საქმიანობა და ფინანსური ანგარიში;

9.5.10. დაამტკიცოს ინსტიტუტის თანამშრომლის სახელმძღვანელოს/ქცევის კოდექსი, ორგანიზაციული სტრუქტურა და ორგანიზაციის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა;

9.5.11. მიიღოს გადაწყვეტილება ინსტიტუტის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გამგეობის წევრთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით;

9.5.12. დაამტკიცოს აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარმოდგენილი ინსტიტუტის ბიუჯეტი;

9.5.13. ბიუჯეტის პროექტი უკან დაუბრუნოს აღმასრულებელ დირექტორს და ვიცე-დირექტორს შენიშვნებით;

9.5.14. მიიღოს გადაწყვეტილება ინსტიტუტის ისეთი პროექტის განხორციელებაზე, რომელიც წარმოშობს ინსტიტუტისთვის 50 000 ლარზე მეტ ხარჯს;

9.5.15. მიიღოს იმ ქონების განკარგვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, რომლის ღირებულება აღემატება 50 000 ლარს;

9.5.16. განსაზღვროს მრჩეველთა საბჭოს შექმნის, დაკომპლექტების და საქმიანობის წესი;

9.5.17. შექმნას და დაამტკიცოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულები;

9.5.18. ინსტიტუტის მიზნებიდან გამომდინარე განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რომელიც არ შედის სხვა მმართველობითი ორგანოს კომპეტენციაში.

9.6. გამგეობის სხდომას თავმჯდომარეობს გამგეობის თავმჯდომარე. თუ გამგეობის სხდომას არ ესწრება გამგეობის თავმჯდომარე, დამსწრეთა უმრავლესობა ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს.

9.7. გამგეობის წევრები ირჩევენ სხდომის მდივანს. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება აირჩიონ სხდომის სხვა თანამდებობის პირი.

9.8. სხდომის თავმჯდომარე ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

9.8.1. გამგეობის წევრებს აუწყებს სხდომის დაწყებას და დამთავრებას;

9.8.2. უძღვება სხდომას;

9.8.3. განსაზღვრავს სიტყვით გამომსვლელთა რიგითობას;

9.8.4. კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს მის შედეგებს;

9.8.5. ახორციელებს წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

9.9. გამგეობის სხდომის მდივანი აწარმოებს ოქმს, ხელს აწერს მას და ახორციელებს წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

9.10. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გამგეობის კრების გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც სხდომის ოქმს ხელს მოაწერს თავმჯდომარე. სხდომის ოქმში უნდა აისახოს:

9.10.1. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი;

9.10.2. სხდომის თავმჯდომარისა და მდივნის ვინაობა;

9.10.3. სხდომაზე დამსწრე გამგეობის წევრთა რაოდენობა და ვინაობა;

9.10.4. კენჭისყრის შედეგები;

9.10.5. მიღებული გადაწყვეტილებები.

9.11. გამგეობის სხდომას სულ მცირე წელიწადში ორჯერ იწვევს აღმასრულებელი დირექორი.

9.12. აღმასრულებელი დირექტორი განსაზღვრავს გამგეობის კრების ჩატარების თარიღს და დღის წესრიგს და ერთი კვირით ადრე ატყობინებს გამგეობის წევრებს.

9.13. გამგეობის წევრებს უფლება აქვთ კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს სამი დღისა, დღის წესრიგის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით აღმასრულებელი დირექტორისგან მოითხოვოს განმარტება, გამოთქვას მოსაზრებები ან მოითხოვოს დღის წესრიგში ცვლილებების შეტანა.

9.14. ინსტიტუტის მიზნებიდან გამომდინარე გამგეობის რიგგარეშე კრების მოწვევა შესაძლებელია ნებისმიერ დროს აღმასრულებელი დირექტორის მიერ საკუთარი ინიციატივით ან გამგეობის თავმჯდომარის მიერ გამგეობის ნებისმიერი წევრის მოთხოვნის შემთხვევაში.

9.15. რიგგარეშე კრების მოწვევისას სხდომის დღის წესრიგს და კრების ჩატარების თარიღს განსაზღვრავს აღმასრულებელი დირექტორი ან გამგეობის თავმჯდომარე, რის შესახებაც ერთი კვირით ადრე ატყობინებს გამგეობის წევრებს.

მუხლი 10. გამგეობის წევრობის შეწყვეტა

10.1. გამგეობის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

10.1.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე;

10.1.2. უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო;

10.1.3. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებისას;

10.1.4. გარდაცვალებისას;

10.1.5. სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;

10.1.6. გამგეობის გადაწყვეტილებით, თუ გამგეობის წევრი:

10.1.6.1. 3 თვეზე მეტი ვადით ვერ ასრულებს თავის უფლებამოსილებას;

10.1.6.2. უხეშად არღვევს თანამშრომლის სახელმძღვანელოს/ეთიკის წესებს;

10.1.6.3. ზედიზედ 2-ჯერ არასაპატიო მიზეზის გამო აცდენს გამგეობის სხდომას;

10.1.6.4. არღვევს წესდებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებას.

აღმასრულებელი დირექტორი

მუხლი 11. აღმასრულებელი დირექტორის არჩევა

11.1. ინსტიტუტის პირველ აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს ინსტიტუტის დამფუძნებელთა კრება. ყოველ მომდევნო აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს გამგეობა გამგეობის წევრთა 2/3-ის თანხმობით 4 (ოთხი) წლის ვადით და იგი არ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ ორჯერ.

11.2. აღმასრულებელი დირექტორი შეიძლება არჩეულ იქნას ხელმეორედ მისი აღმასრულებელი დირექტორობის ვადის ამოწურვიდან ოთხი წლის შემდეგ.

11.3. აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურის წარდგენა შეუძლია გამგეობის ნებისმიერ წევრს.

11.4. აღმასრულებელ დირექტორს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე („ვიცე-დირექტორი“), რომელსაც აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით დანიშნავს გამგეობა.

11.5. აღმასრულებელი დირექტორი შეიძლება იყოს ინსტიტუტის დამფუძნებელი. აღმასრულებელ დირექტორი შეიძლება იყოს საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქე ფიზიკური პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:

11.5.1. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება;

11.5.2. აქვს კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება, მმართველობით პოზიციაზე მუშაობის მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება, ასევე სარგებლობს პროფესიული წრეების წარმომადგენლების მაღალი ნდობით და აქვს კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტი.

11.6. აღმასრულებელი დირექტორი არ შეიძლება იყოს:

11.6.1. გამგეობის წევრი ან სხვა ისეთი ორგანოს წევრი, რაც გამოიწვევს ინტერესთა შეუთავსებლობას;

11.6.2. პოლიტიკური პარტიის წევრი;

11.6.3. თანამდებობის პირი;

11.6.4. საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მისი უფლებამოსილების განხორციელებას, მათ შორის ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.

11.7. აღმასრულებელ დირექტორთან იდება შრომითი ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე.

11.8. აღმასრულებელი დირექტორის ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს გამგეობა.

მუხლი 12. აღმასრულებელი დირექტორის ფუნქციები

12.1. აღმასრულებელი დირექტორი:

12.1.1. მოქმედებს ინსტიტუტის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

12.1.2. ამზადებს და გამგეობას წარუდგენს ინსტიტუტის მისიას, სტრატეგიას, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და სამოქმედო გეგმას;

12.1.3. წელიწადში ერთხელ ამზადებს და გამგეობას წარუდგენს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს;

12.1.4. გამგეობის მიერ დადგენილი წესის თანახმად განკარგავს ინსტიტუტის ფულად სახსრებს და მატერიალურ რესურსებს და პასუხს აგებს მათ სწორ გამოყენებაზე;

12.1.5. ხელს აწერს ორგანიზაციის საფინანსო დოკუმენტაციას;

12.1.6. ინსტიტუტის მიზნების შესაბამისად წარმართავს და ხელმძღვანელობს ინსტიტუტის მიმდინარე საქმიანობის ყველა მიმართულებას, თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

12.1.7. დებს ხელშეკრულებებს პროექტთან დაკავშირებულ საკითხებზე ინსტიტუტის სახელით.

12.1.8. ხელს აწერს ინსტიტუტის ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

12.1.9. იღებს გადაწყვეტილებას იმ ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, რომლის ღირებულება არ აღემატება 50 000 ლარს.

12.1.10. ყოველი წლის პირველ ნოემბრამდე ადგენს ინსტიტუტის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე ანგარიშს შესაბამისი ფორმით და წარუდგენს გამგეობის სხდომას.

12.1.11. წესდების შესაბამისად ნიშნავს გამგეობის კრების თარიღს და ატყობინებს გამგეობის წევრებს;

12.1.12. შეიმუშავებს გამგეობის კრების სხდომის დღის წესრიგს და წესდებით გათვალისწინებული წესით ატყობინებს გამგეობის წევრებს;

12.1.13. წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში ნიშნავს გამგეობის კრების რიგგარეშე სხდომას;

12.1.14. გამგეობის თავმჯდომარესთან შეთანხმების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს პროექტის დირექტორებს;

12.1.15. ნიშნავს და ათავისუფლებს ინსტიტუტის თანამშრომლებს;

12.1.16. ზედამხედველობს ორგანიზაციის შინაგანაწესის და თანამშრომელთა სახელმძღვანელოს/ეთიკის წესების დაცვას;

12.1.17. გამგეობის თავმჯდომარესთან ერთად პასუხისმგებელია ფონდების მოძიებაზე.

12.2. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია გამგეობის წინაშე.

12.3. აღმასრულებელი დირექტორი ექვემდებარება გამგეობას.

12.4. აღმასრულებელი დირექტორის დეტალური საქმიანობის წესი განისაზღვრება გამგეობის მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 13. აღმასრულებელი დირექტორის გათავისუფლების წესი

13.1. აღმასრულებელ დირექტორს უფლებამოსილება უწყდება:

13.1.1. ახალი აღმასრულებელი დირექტორის არჩევისთანავე.

13.1.2. პირადი განცხადების საფუძველზე;

13.1.3. წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო;

13.1.4. წესდებით და ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების უმიზეზოდ 3 თვის განმავლობაში შეუსრულებლობის გამო.

13.2. აღმასრულებელი დირექტორი შეიძლება გათავისუფლდეს ვადაზე ადრე გამგეობის სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

13.3. აღმასრულებელი დირექტორის გადადგომის, ზედიზედ 3 თვის ან წელიწადში 6 თვის ვადით თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ფუნქციებს ახალი აღმასრულებელი დირექტორის არჩევამდე შეასრულებს ვიცე-დირექტორი. ამ უკანასკნელის არ ყოფნის შემთხვევაში - გამგეობის მიერ თავისი შემადგენლობიდან არჩეული პირი.

13.4. აღმასრულებელი დირექტორის გადადგომის, ზედიზედ 3 თვის ან წელიწადში 6 თვის ვადით თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ფაქტს ადასტურებს გამგეობა თავისი გადაწყვეტილებით.

13.5. აღმასრულებელი დირექტორის გადადგომის, ზედიზედ 3 თვის ან წელიწადში 6 თვის ვადით თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, გამგეობა უზრუნველყოფს რიგგარეშე კრების მოწვევას ინსტიტუტის ახალი აღმასრულებელი დირექტორის ასარჩევად.

მუხლი 14. აღმასრულებელი დირექტორის პასუხისმგებლობა

14.1. აღმასრულებელი დირექტორი ინსტიტუტის საქმეებს უნდა უძღვებოდეს კეთილსინდისიერად.

14.2. აღმასრულებელი დირექტორი პასუხს აგებს ინსტიტუტისათვის მიყენებული ზიანისათვის.

მრჩეველთა საბჭო

მუხლი 15. მრჩეველთა საბჭოს არჩევა

15.1. მრჩეველთა საბჭო წარმოადგენს ინსტიტუტის საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც ინსტიტუტის გამგეობას, აღმასრულებელ დირექტორს და ვიცე-დირექტორს აძლევს რეკომენდაციებს ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებით.

15.2. მრჩეველთა საბჭოს ირჩევს გამგეობა.

15.3. გამგეობა მრჩეველთა საბჭოს წევრს ირჩევს 3 წლის ვადით.

15.4. პირის მრჩეველთა საბჭოს წევრად არჩევამდე აუცილებელია მისი თანხმობა.

მუხლი 16. მრჩეველთა საბჭოს წევრები

16.1. მრჩეველთა საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნას საერთაშორისო გამოცდილების მქონე ნებისმიერი პროფესიის მქონე ფიზიკური პირი, რომელიც არის ამა თუ იმ დარგის ექსპერტი.

მუხლი 17. მრჩეველთა საბჭოს წევრების გათავისუფლების წესი

17.1. მრჩეველთა საბჭოს წევრები შეიძლება გათავისუფლდნენ ნებისმიერ დროს გამგეობის გადაწყვეტილებით ან საკუთარი განცხადების საფუძველზე.

მუხლი 18. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციები

18.1. მრჩეველთა საბჭოს ფუნქციაა ინსტიტუტის მმართველობითი ორგანოებისთვის საქესპერტო ცოდნის და წინადადებების გაზიარება ინსტიტუტის საქმიანობის განვითარების მიზნით.

18.2. მრჩეველთა საბჭოს სხდომები მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის მიერ გამგეობის ნებისმიერი წევრის ან აღმასრულებელი დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

თავი IV. ინსტიტუტის ქონება

მუხლი 19. ინსტიტუტის შემოსავლის წყაროები

19.1. ინსტიტუტის შემოსავლის წყაროებია:

19.1.1. გრანტით მიღებული ქონება და სახსრები;

19.1.2. შემოწირულობები;

19.1.3. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი;

19.2. ინსტიტუტის ქონება გამოიყენება მხოლოდ ინსტიტუტის მიზნების მისაღწევად და საქმიანობის განსახორციელებად.

19.3. ინსტიტუტის შემოსავლები არ შეიძლება განაწილდეს მის წევრებს შორის.

19.4. ინსტიტუტის ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე აღმასრულებელი დირექტორი ადგენს ანგარიშს შესაბამისი ფორმით და წარუდგენს გამგეობას.

თავი V. ინსტიტუტის ბიუჯეტი და ფინანსური აღრიცხვა

მუხლი 20. ინსტიტუტის ბიუჯეტი

20.1. ინსტიტუტს აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელსაც ამტკიცებს ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით გამგეობა.

20.2. ინსტიტუტის ფინანსური წელი არის კალენდარული წელი. მომავალი წლის ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს მიმდინარე წლის 15 დეკემბრამდე.

20.3. ბიუჯეტის პროექტის შედგენას ორგანიზებას უწევეს აღმასრულებელი დირექტორი. აღამსრულებელი დირექტორი ბიუჯეტის პროექტს წარუდგენს გამგეობას არაუგვიანეს 1 ნოემბრისა. გამგეობა მას განიხილავს 20 ნოემბრამდე.

20.4. გამგეობა უფლებამოსილია ბიუჯეტის პროექტი უკან დაუბრუნოს აღმასრულებელ დირექტორს შენიშვნებით. ასეთ შემთხვევაში აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია არაუგვიანეს 30 ნოემბრისა თავიდან წარუდგინოს პროექტი გამგეობას.

20.5. ინსტიტუტის ბიუჯეტში ხარჯების სახით გათვალისწინებული უნდა იყოს ინსტიტუტის პერსონალის ხელფასი, ოფისის ქირა და ყველა სხვა ადმინისტრაციული ხარჯი.

თავი VI. ინსტიტუტის ლიკვიდაცია

მუხლი 21. ლიკვიდაცია

21.1. ინსტიტუტის ლიკვიდაცია ხდება:

21.1.1. ინსტიტუტის გამგეობის გადაწყვეტილებით.

21.1.2. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ან გაკოტრების საფუძველზე.

მუხლი 22. ლიკვიდაციის პროცედურა

22.1. გამგეობის გადაწყვეტილება ინსტიტუტის ლიკვიდაციის პროცესის შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

22.2. ლიკვიდაციას ახორციელებს აღმასრულებელი დირექტორი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

22.3. ლიკვიდატორი მოიწვევს ყველა კრედიტორს მოთხოვნების წარმოსადგენად და დაუწესებს მათ ვადას.

22.4. ლიკვიდაციის დროს უნდა განხორციელდეს შემდეგი მოქმედებები:

22.4.1. დასრულდეს მიმდინარე საქმეები;

22.4.2. დადგინდეს კრედიტორების მოთხოვნები;

22.4.3. დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში;

22.4.4. დაკმაყოფილდნენ კრედიტორები;

22.4.5. დარჩენილი ქონება გაუნაწილდეთ უფლებამოსილ პირებს;

მუხლი 23. ლიკვიდაციის შედეგები

23.1. ლიკვიდაციის შედეგად ინსტიტუტი წყვეტს საქმიანობას.

23.2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს ლიკვიდაციის დაწყებამდე განსაზღვრავს გამგეობა.

23.3. ინსტიტუტის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია თუ:

23.3.1. გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების გახორციელებას;

23.3.2. ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

23.3.3. ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს;

23.4. თუ ინსტიტუტის გამგეობამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე პირს, რომელსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ინსტიტუტს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობენ ან შეუძლებელია მათი გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებული იქნას გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ; სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის განმავლობაში.

დამფუძნებლების ხელმოწერები:

ნათია ხანთაძე

დავით კაპანაძე

ეკატერინე ლომთათიძე

გიორგი ჯუღელი